ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. მარტის 5. № 6 ტფილისი.

შინაარსი

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

33. 1935 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

33. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ(ბ) ც.კ.

1935 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესდეს 1935 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმა საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში 633.900 ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის: კოლმეურნეობებში—212.300 ჰექტ., აქედან იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—125.400 ჰექტ., და ერთპიროვნულ მეურნეობებში—421.600 ჰექტ.,—კულტურებისა და სექტორების მიხედვით ამ ფართობის შემდეგი განაწილებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

	სულ საგლეხო სექტორში	მათ მორის			
		კოლმეურნეობები	აქედან		ერთპიროვნული მეურნეობები
			კოლმეურნეობები, ოთ-ლებსაც მომსახ. უწევენ სამ.-სატრ. სადგურები	კოლმეურნეობები ოთ-ლებსაც მომსახ. არ უწევენ სამ.-სატრ. სადგურები	
I. მარცვლეული და ცერცვოვანები:					
1. ხორბალი	53.000	15.000	4.680	10.320	38.000
2. ქერი	72.000	21.110	8.395	12.715	50.890
3. სიმინდი	381.000	115.943	71.828	44.115	265.057
4. ფეტვი	6.240	2.295	2.135	160	3.975
5. ასლი	6.570	1.330	—	1.330	5.240
6. შვრია	2.000	930	460	470	1.070
7. ღომი	750	355	75	280	395
8. სხვა მარცვლ. . .	1.320	250	110	140	1.070
9. ცერცვოვანები .	1.000	300	100	200	700
სულ . . .	523.910	157.513	87.783	69.730	366.397
II. ტექნიკური:					
1. ბამბა	5.500	3.900	3.900	—	1.600
2. სელი	1.800	800	350	450	1.000
3. თამბაქო	19.200	7.600	5.340	2.260	11.600
4. შაქრის ჭარხალი.	4.500	3.400	3.400	—	1.100
5. მზესუმზირა . . .	7.580	3.120	2.910	210	4.460
6. გერანი	300	300	200	100	—
7. არახისი	600	600	500	100	—
8. ლუფა	80	80	80	—	—
სულ . . .	39.560	19.800	16.680	3.120	19.760
III. ბოსტ.-ბალჩ. კარტ.					
1. კარტოფილი . .	17.500	4.000	1.300	2.700	13.500
2. ბოსტანი	15.230	4.650	3.142	1.503	10.580
3. ბალჩა	2.800	1.087	945	142	1.713
სულ . . .	35.530	9.737	5.387	4.350	25.793
VI. საკვები:					
1. ბალახები ერთწლ.	20.000	13.500	7.500	6.000	6.500
2. ,, ორწლ.	6.000	4.500	2.700	1.800	1.500
3. ძირნაყოფა . . .	1.000	850	400	450	150
4. სასილოსო ნათესი	2.400	2.400	1.450	950	—
სულ . . .	29.400	21.250	12.050	9.200	8.150
1. ბალახ წარს. წლ.	5.500	4.000	3.500	500	1.500
2. სულ საგაზ. კულტ.	633.900	212.300	125.400	86.900	421.600
მწკრივთა შორის ნათ.					
1. სოია	25.000	9.830	7.280	2.550	15.170
2. ლობიო	25.000	7.580	4.100	3.480	17.420

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უზრუნველყოს თესლით საკვები ბალახების თესვის გეგმა, რესპუბლიკის შიგნით სათესლე რესურსების სრული მობილიზაციისა და აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან თესლის შემოზიდვის გზით.

2. დაწესებულ იქნეს კოლმეურნეობებში „სახელმწიფო ხარისხოვანი მეთესლეობის ფონდის“ ბოსტნეული, საკვები და ზეთოვანი კულტურების მეთესლეობის ნათესები 5.540 ჰექტარის ფართობზე, მათ შორის ახალი ნათესები—4.543 ჰექტ., დატოვებული სათესლედ—930 ჰექტ. და გადასარგავად—176 ჰექტ.

3. დამტკიცებულ იქნეს 1935 წლის გაზაფხულისათვის საკოლმეურნეო საგლეხო სექტორში მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისა და რემონტის შემდეგი გეგმა:

კულტურები	სულ საგლეხო სექტორში	მათ შორის			
		კოლმეურნეობები	აქედან		ერთპიროვნული მეურნეობები და კოლმეურნეთა საკარმიდამო მეურნ.
			კოლმეურნ., რომლებსაც მომსახ. უწევენ სამ.-სატრ. სადგურები	კოლმეურნ., რომლებსაც მომსახ. არ უწევენ სამ.-სატრ. სადგურები	
1. ჩაის დათესვა (ჰექტ.)	2.000	2.000	1917	83	—
2. ჩაისთვის ნიად. მომზ. (წლ. გეგმ.)	400	400	330	70	—
3. ვენახების გაშენება	328	328	146	182	—
4. ხეხილის ბაღების გაშენება . .	2.100	1.480	747	733	620
5. ციტრუსების გაშენება	353,8	128	125	3	225,8
მათ შორის:					
ა) მანდარინისა	218,8	97	95	2	121,8
ბ) ლიმონისა	129	30	29	1	99
გ) ფორთოხალისა	6	1	1	—	5
6. იაპონური ხურმის გაშენება .	6	6	6	—	—
7. ტუნგის ხის გაშენება	400	230	200	30	170
8. თხილის „	130	103	74	29	27
9. ბამბუკის „	5	5	3	2	—
10. პეკანის „	24	24	22	2	—
11. მუშმულას „	21	21	11	10	—
12. კეთილშობილი დაფნის გაშ. .	65	65	48	17	—
13. ბროწეულის გაშენება . . .	94	16	15	1	78 *)
14. ფუსტუღოს „ . . .	12	12	12	—	—
15. ლეღვის „ . . .	146	30	26	4	116 *)
16. ნუშის „ . . .	75	75	75	—	—

*) ბროწეულის გაშენების გეგმა 78 ჰექტარის და ლეღვისა—116 ჰექტარის ფართობებზე დაწესებულია კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურები	სულ საგაზაფხო სექტორში	მათ შორის			
		კოლმეურნეობები	კოლმეურნ., რომელ'საც მომსახ. უწევენ სამ.-სატრ. სადგურები	კოლმეურნ., რომლებსაც მომსახ. არ უწევენ სამ.-სატრ. სადგურები	ერთპიროვნული მეურნეობები და კოლმეურნეთა საკარმიდამო მეურნ.
17. ევკალიპტის (ათ. ცალი) . .	565,0	425,0	—	—	140,0
18 ამერიკ. ვაზის სად. გაშ. (ჰექტ.)	140,0	140,0	100	30	—
19 ხეხილის ბაღის სანერგის გაშ.	39,5	39,5	25,5	14,0	—
20 ფუნდუკის სანერგის გაშენება	4	4	4	—	—
21 იაპონური ხურმის სან. „	2,3	2,3	2,2	0,1	—
22 პეკანის სან. გაშენება (კვ.მეტრ.)	167	167	—	—	—
23. ბროწეულის სანერ. გაშ. (ჰექტ.)	1	1	1	—	—
24. ჩაის აღდგენა (ჰექტ.)	257	257	219	38	—
25. ჩაის კაპიტ. რემონტი . . .	1478	1478	1174	304	—
26. ვენახის „ „ . . .	32	32	24	8	—
27. ხეხილის ბაღის კაპიტ. რემ.	271	271	232	39	—
28. ციტრუსების „ „ .	6,2	3,15	3,15	—	—
29. ტუნგის „ „ .	3,5	3,5	3,5	—	—
30. კეთილშობ. დაფნის რემ. . .	30	30	20	10	—

დამტკიცდეს რაიონების, კულტურების და სექტორების მიხედვით საგაზაფხულო კულტურების თესვისა და მრავალწლიან ნარგავთა გაშენებისა და რემონტის განაწილების გეგმა, წარმოდგენილი საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ.

დაწესდეს 1935 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს შემდეგ სავალდებულო ღონისძიებათა გატარება, რომლებიც წარმოადგენენ გადამწყვეტ ღონისძიებებს მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

თესლბრუნვა

4. უზრუნველყოფილ იქნეს საგაზაფხულო კულტურების თესვა იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც გადავიდენ თესლბრუნვაზე—თესლბრუნვის საგაზაფხულო კულტურებისათვის გამოყოფილ მინდვრებზე (474 კოლმეურნეობა 109.600 ჰექტ. სახნავი).

5. შემოღებულ იქნეს 1935 წელს თესლბრუნვა დამატებით 205 კოლმეურნეობაში 34.700 ჰექტ. სახნავ ფართობზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესლის გაწმენდა და შეწამლვა.

6. ჩატარდეს კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში თავთავიანი კულტურების მთელი სათესლე მასალის სავალდებულო გაწმენდა (წინასწარ—დამხარისხებლებზე, ხოლო შემდეგ—ტრიერებზე) და შეწამლვა. თესლის გაწმენდა და შეწამლვა დამთავრდეს 20 დღით ადრე თესვამდე. შეწამლვა მოეწყოს ისე, რომ იგი წარმოებდეს უშუალოდ მარცვლის გაწმენდისთანავე. ჩატარდეს სათესლედ სავსებით ვარგისი სიმინდის ტაროების გადარჩევა.

7. ჩატარდეს თებერვლისა და მარტის განმავლობაში სათესლე მასალის რაოდენობისა და ხარისხის შემოწმება კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში.

ნიადაგის მომზადება საგაზაფხულო კულტურებისათვის.

8. ჩატარდეს ადრეული ხვნა საგაზაფხულო კულტურების 540.600 ჰექტარზე, მათ შორის კოლმეურნეობებში—166.000 ჰექტ., აქედან იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—86.300 ჰექტ., და ერთპიროვნულ მეურნეობებში—374,600 ჰექტ.

9. ჩატარდეს გაზაფხულის დამდეგს მძრალად მოხნული მთელი ფართობის გადახვნა 87.400 ჰექტარზე, მათ შორის კოლმეურნეობებში—42.500 ჰექტ., აქედან იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—35.800 ჰექტ. და ერთპიროვნულ მეურნეობებში 44.900 ჰექტარი.

10. ადრეული ხვნა საგაზაფხულო კულტურებისათვის დამთავრდეს არა უგვიანეს შემდეგი ვადებისა:

ა. ბამბისათვის—არა უგვიანეს მარტის 15-ისა, თამბაქოსათვის: აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში—არა უგვიანეს მარტის 15-ისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში, აფხაზეთისა და აჭარისტანის სს რესპუბლიკებში—აპრილის 1-ისა;

ბ. საგაზაფხულო თავთავიანი კულტურებისა, ბალახეებისა და კარტოფილისათვის:

ა) გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, ყარაიას, ბორჩალოს და ლუქსემბურგის რაიონებში—არა უგვიანეს მარტის 15-ისა;

ბ) ახალციხის, ადიგენის, სტალინისის, გორის, კასპის, ტფილისის, საგარეჯოს და აღბულახის რაიონებში—არა უგვიანეს მარტის 25-ისა—აპრილის 1-ისა.

გ) ასპინძის, ბორჯომის, თიანეთის და ბაშკიჩეთის რაიონებსა და სამხრეთოსეთის ავტ. ოლქში—არა უგვიანეს აპრილის 10—15-ისა;

დ) ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში—არა უგვიანეს აპრილის 20—25-ისა;

11. სიმინდისათვის: ა) აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში—არა უგვიანეს აპრილის 1—5-ისა, გარდა აღბულახის და თიანეთის რაიონებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქისა, სადაც ადრეული ხვნა დამთავრდეს არა უგვიანეს აპრილის 10—15-ისა;

ბ) დასავლეთ საქართველოს რაიონებში—არა უგვიანეს მარტის 25-ისა—აპრილის 1-ისა, გარდა ონის რაიონისა (აპრილის 20) და აბაშის, სამტრედიის და ლანჩხუთის რაიონების (ადგილი ანჟელი) დაბლობი, ნაწილისა,—არა უგვიანეს აპრილის 20—25-ისა.

11. მოხვნა ჩატარდეს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცალკეული კულტურების, რაიონების და ნიადაგის სხვადასხვაობის მიხედვით დაწესებულ სიღრმეზე.

თესვის ვადები.

12. ჩატარდეს თესვა შემდეგ ვადებზე: ბამბის თესვა მაისის 1-დან მაისის 5-მდე; თამბაქოს დარგვა: ა) ლაგოდეხის, ყვარლისა და ბორჩალოს რაიონებში—აპრილის 20-დან ივნისის 10-მდე; ბ) სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებში—აპრილის 25-დან ივნისის 10-მდე; გ) ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ჩოხატაურის რაიონებში—აპრილის 25-დან ივნისის 10-მდე; დ) აფხაზეთის ასსრ—აპრილის 25-დან ივნისის 15-მდე; ვ) აჭარისტანის ასსრ—მაისის 1-დან ივნისის 10-მდე.

შაქრის ჭარხლის თესვა ჩატარდეს აპრილის 1-დან აპრილის 20-მდე.

საგაზაფხულო თავთავიანი კულტურებისა და ბალახების თესვა დამთავრდეს არა უგვიანეს შემდეგი ვადებისა:

ა) სიღნაღის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ყვარლის, ბორჩალოს და ყარაიას რაიონებში—მარტის 20-25-ისა;

ბ) თელავის, ლუქსემბურგის, ტფილისის, გორის და კასპის რაიონებში—აპრილის 15-ისა;

გ) ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, სტალინისის, ბორჯომის, ალბულახის, საგარეჯოს და ბაშკიჩეთის რაიონებში—აპრილის 15-20-ისა;

დ) ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის და ყაზბეგის რაიონებში, დუშეთისა და თიანეთის რაიონების მთიან ზონაში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში (მთიანი ზონა)—მაისის 1—5-ისა.

სიმინდის თესვა: ა) აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში დამთავრდეს არა უგვიანეს მაისის 5—10-ისა, ბ) დასავლეთ საქართველოს რაიონებში და აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტ. სს რესპუბლიკებში—მაისის 5-ისა.

13. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სს რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტებს და პარტიის სარაიონო კომიტეტებს—მოახდინონ თესვის დაწყებისა და დამთავრების ვადების დიფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენცირება რაიონის ფარგლებში ცალკეული სოფლებისა და კოლმეურნეობებ-ბების მიხედვით ნიადაგის, კლიმატური და სხვა პირობებთან შეფარდებით.

მწკრივად თესვა.

14. ჩატარდეს კოლმეურნეობებში თავთავიანი კულტურების მწკრივად თესვა სათესი მანქანებით 10.000 ჰექტარზე, მათ შორის იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—7.000 ჰექტარზე, და სიმინდის მწკრივად თესვა—12.000 ჰექტარზე, მათ შორის იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—10.000 ჰექტ.

ნაკელის სასუქი.

15. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმასთან შეფარდებით, საგაზაფხულო კულტურების დასათესად ნიადაგის მოხვნის წინ შეტანილ იქნას ნაკელის სასუქი 800.000 ურმის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 600.000 ურემი, მათ შორის იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—120.000 ურემი, და ერთპიროვნულ მეურნეობებში—400.000 ურემი.

მერგელით განოყიერება.

16. მოხდეს სიმინდისათვის დანიშნული ფართობების მერგელით განოყიერება: ზარტვილის რაიონში—300 ჰექტარზე, ზუგდიდის რაიონში—50 ჰექტ. ჩხოროწყუს რაიონში—300 ჰექტ. და წალენჯიხის რაიონში—100 ჰექტ. მერგელის შეტანა ჩატარდეს გაზაფხულის დამდეგს ძირითადი ხვნის დაწყებამდე. მერგელის ჩაკეთება მოხდეს ძირითად მოხვნასთან ერთად.

თავთავიანი კულტურების ხელით გათოხნა.

17. ჩატარდეს თავთავიანი კულტურების (საშემოდგომო და საგაზაფხულო) ხელით გათოხნა 120.000 ჰექტ. ფართობზე, მათ შორის კოლმეურნეობებში—50.000 ჰექტ., აქედან იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—28.000 ჰექტ., და ერთპიროვნულ მეურნეობებში—70.000 ჰექტ.

სარწყავი ქსელის მომზადება.

18. წინადადება მიეცეს საარაონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის საარაონო კომიტეტებს იანვრისა და თებერვლის განმავლობაში შეამოწმონ და სავსებით მოამზადონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის საირიგაციო სისტემის მთელი ქსელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესლის სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობის შემოწმება.

19. ჩატარდეს ტექნიკური, მარცვლეული, ბოსტნეული, ზეთოვანი და საკვები კულტურების მთელი დასათესი თესლის სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობის (აღმოცენებისა და დანაგვიანების) შემოწმება კოლმეურნეობებში დათესვით და აგრეთვე ლაბორატორული წესით, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებში—შერჩევითი შემოწმება; თესლის შემოწმება დამთავრდეს 20 დღით ადრე თესვის დაწყებამდე.

ბრძოლა სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ.

20. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, აფხაზეთისა, აჭარისტანისა და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა და საოლქო კომიტეტებმა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებმა, საქართველოს კ. პ. (ბ) სარაიონო კომიტეტმა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა მოაწყონ ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ბამბის, თამბაქოს, შაქრის ჭარხლის, ჩაის, ციტრუსების, ვენახების, ბაღების, ბოსტნების და სხვ.) მავნებლებთან და დაავადებებით შეპყრობილ მთელ ფართობზე.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი.

21. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარისტანის ასსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს კ. პ. (ბ) სარაიონო კომიტეტებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს უზრუნველყონ სამანქანო-სატრაქტორო პარკის დროულად მომზადება გაზაფხულის ხვნისა და თესვისათვის და მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მთელი ინვენტარის რემონტი კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ გეგმასთან შეფარდებით; ამასთან რემოტი დაამთავრონ არა უგვიანეს თებერვლის 15—20-ისა.

მეცხოველეობის ხაზით:

22. დაწესდეს 1935 წლისათვის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში მოზარდი პირუტყვის გამოზრდის შემდეგი სახელმწიფო გეგმა (ათას სულობით):

1. ხბოები	17,8
მათ შორის შესყიდვა	4,0
2. ბატკნები და ციკნები	74,6

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ზაქები 1,3
4. გოჭები 21,0
მათ შორის შესყიდვა 4,2
5. კვიცები . . . . . 1,5 (კოლმეურნეობებში)
მათ შორის მეცხენეობის სასაქონლო ფერმებში 0,47

23. აყვანილ იქნეს სულადობა 1936 წლის იანვრის 1-სათვის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში შემდეგ რაოდენობამდე (ათას სულობით):

მსხვილი რქოსანი საქონელი 61,4
მათ შორის ძროხები 19,2
კამეჩები 6,7
მათ შორის ფურ-კამეჩები 3,0
ღორები 29,0
მათ შორის დედა-ღორები 6,5
ცხვრები და თხები 244,3
მათ შორის დედა-ცხვრები და თხები 135,5
ცხენები 2,3
მათ შორის ფაშატები 1,95
ვირები 0,49

24. დაწესდეს საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებიდან კოლმეურნეთათვის მოზარდი პირუტყვის გადაცემის შემდეგი გეგმა (ათას სულობით):

ხბოები 0,9
გოჭები 2,0
ბატკნები და ციკნები 5,0

25. დამტკიცდეს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი სარაიონო გეგმები მოზარდი პირუტყვის გამოზრდისა, სასაქონლო ფერმებში საქონლის სულადობის ზრდისა და სასაქონლო ფერმებიდან კოლმეურნეთათვის მოზარდი საქონლის მიყიდვის შესახებ.

26. დაწესდეს შემდეგი წესი მოზარდი პირუტყვის გამოზრდის გეგმის დაყვანისა კოლმეურნეობებამდე: კოლმეურნეობა ღებულობს მოზარდი პირუტყვის გამოზრდის დავალებებს ფერმებში საქონლის სულადობის ზრდის დამტკიცებული გეგმის მიხედვით, ამასთან მხედველობაში მიიღება სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმისა და კოლმეურნეთათვის მოზარდი პირუტყვის მიყიდვის გეგმის შესრულება.

27. დაევალოს საოლქო კომიტეტებს, სარაიონო კომიტეტებს, აფხაზეთისა, აჭარისტანისა და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველყონ მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმების დაყვანა კოლმეურნეობებამდე ა/წ. თებერვლის 5-სათვის.

28. დაწესდეს 1935 წლისათვის შემდეგი დასაგრილებელი კონტინგენტი (ათას სულობით):

	საკოლმეურნეო ფერმები	კოლმეურნეობების და ერთპიროვნული მეურნეებისა
1. ძროხები	20,6	455,0
2. დედა-ღორები (წლის პირველ ნახევარში) . . .	3,9	63,0
3. ფაშატები (კოლმეურნეობებში)	3,0	36,84
მათ შორის სასაქონლო ფერმებში	0,77	—
4. ფურ-კამეჩები	2,1	28,3

29. განისაზღვროს 1935 წლისათვის საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში ბუნებრივ სათიბებზე თივის აღების გეგმა 160.000 ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის კოლმეურნეობებში—60.000 ჰექტ.

დაევალოს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის კომიტეტსა და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, დუშეთის, ყაზბეგის, სიღნაღის, თელავის და ყვარლის სარაიონო კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ საზამთრო საძოვრებზე მკაცრი ზამთრის შემთხვევისათვის თივის სადაზღვევო ფონდის აღება ცხვრებისათვის შემდეგი რაოდენობით: ჩრდილოეთ-კავკასიაში—23.000 ცენტნერი და შირაქში—24.000 ცენტნერი.

30. დაწესდეს 1935 წლისათვის კოლმეურნეობებში საკვების და სილოსების გეგმა 28.000 ტონის რაოდენობით.

31. განისაზღვროს საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში საბალახოებისა და საძოვრების გაუმჯობესების უმარტივეს ღონისძიებათა ჩატარების გეგმა 60.000 ჰექტარის რაოდენობით.

32. დაწესდეს 1935 წლისათვის კოლმეურნეობებში მშენებლობისა და რემონტის შემდეგი გეგმა (პირუტყვის ადგილებში ათას სულობით):

ა) საძროხეების მშენებლობა—18,0 მათ შორის გადმომავალი—3,8
ბ) სახბორეების „ 2,3 „ „ „ 0,25
გ) მსხვილი რქოსანი საქონლის იზოლატ. „ 0,25 „ „ „ —
დ) საღორეების „ 3,1 „ „ „ 0,4
ე) ღორების იზოლატორების 0,4 „ „ „ —
ვ) ფარეხების „ 34,8 „ „ „ 0,8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) ცხვრების იზოლატორების	2,0	მათ შორის გადმომავალი	—
თ) საჯინიბოების „	0,28	„ „ „	—
ი) საციკნეების „	0,39	„ „ „	—
კ) სახარეების „	10,8	„ „ „	6,8
ლ) სასილოსე ნაგებობათა	6,7	(ათასი ტონა)	
მ) ფარეხების რემონტი	140,0	(ათასი სული)	
ნ) სასილოსე ნაგებობათა რემონტი	21,3	(ათასი ტონა.)	

33. დამტკიცდეს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი რაიონობრივი გეგმა დასაგრილებელი კონტინგენტისა, თივის აღებისა, საკვების დასილოსებისა, საბალახოების და საძოვრების გაუმჯობესებისა და მშენებლობის შესახებ.

34. დაევალოს პარტიის სარაიონო კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) არ დაუშვან საბალახოებისა, სათიბებისა, საძოვრებისა და პირუტყვის გადასარეკი გზების მოხვნა;

ბ) მოაწყონ სათიბი ნაკვეთების დაცვა საქონლის მოძოვებისაგან;

გ) დაიყვანონ საბალახოებისა და საძოვრების თვითეულ მოსარგებლე კოლმეურნეობამდე და ერთპიროვნულ მეურნეობაზე საბალახოებისა და საძოვრების გაუმჯობესების უმარტივეს ღონისძიებათა ჩატარების გეგმა;

დ) კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე თესვის გეგმების დაყვანის დროს გაითვალისწინონ საქონლის უზრუნველყოფა საკვებით (უხეში, კონცენტრიული, ნამიანი);

ე) მშენებლობის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად — მაქსიმალურად გამოიყენონ ზამთრის თვეები ადგილობრივი საშენი მასალის დასამზადებლად და მშენებლობის ადგილზე მისატანად.

საჯიშე საქმის დარგში.

35. საქონლის ჯიშის გაუმჯობესებისა და პროდუქტების გადიდების მიზნით, მოეწყოს ყველა იმ კოლმეურნეობაში, სადაც ინვენტარიზაციის შედეგად გამომჟღავნებულია ჯიშიანი საქონელი, საჯიშე ფერმები და ბუდეები, რომლებშიაც საქონლის სულადობა აყვანილ იქნეს არა ნაკლებ (ათას სულობით):

მსხვილი რქოსანი საქონელი	2,0
ცხვრები	12,9
ღორები	1,0
თხები	0,2

36. წინადადება მიცეს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სარაიონო სამიწათმოქმედო ორგანოებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს უზრუნველყონ ჯიშიანი ცხოველების სპეციალური მოვლა-შენახვისა და კვების მოწყობა.

37. მოეწყოს თუშური ცხვრის სახელმწიფო საჯიშე სამომშენებლო, რომელმაც მომსახურეობა გაუწიოს თუშური ცხვრის მთლიანი გავრცელების რაიონებს, და მთის საქონლის საჯიშე სამომშენებლო, რომლის მოქმედების რაიონს უნდა შეადგენდეს მთის საქონლის მასიური გავრცელების რაიონები.

38. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს 1935 წლის ბიუჯეტში საჯიშე საქმის ინსპექტორთა შენახვა იმ რაიონებში, სადაც არის ჯიშიანი საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობა (ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, წალკისა და აღბულახის რაიონები და აფხაზეთის ავტ. სსრ).

39. დაევალოს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაამუშაოს და დაუგზავნოს რაიონებს მეტიზაციის გეგმა ყველა სახის საქონლის ხაზით, რისთვისაც მხედველობაში მიიღოს არსებული ჯიშიანი მწარმოებლების მაქსიმალურად გამოყენება.

40. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიაქცევენ პარტიის რაიკომების მდივნებისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებისა, რაიმიწგანების გამგეებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეების განსაკუთრებულ ყურადღებას იმას, რომ მეცხოველეობის განვითარების დაგეგმვისა და გეგმის შესრულების სისტემატური კონტროლის უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცხოველეობის მაჩვენებლების აღრიცხვის სწორ ორგანიზაციას, და წინადადებას აძლევენ მათ პირადად მოჰკიდონ ხელი აღრიცხვის საკითხებს და უზრუნველყონ ამ საქმის სწორი ორგანიზაცია.

41. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ეპიზოოტიის მოსასპობად ჩატარებული დიდი მუშაობისა, მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი საქონლის ეპიზოოტიის მნიშვნელოვან გავრცელებას, რაც კარანტინის ხშირი დარღვევის შედეგია. ამიტომ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში აუცილებელ პირობას შეადგენს საქონლის ეპიზოოტის სრული ლიკვიდაცია. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნებს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებების გამგეებს, მათი პირადი პასუხისმგებლობით, მიაღწიონ ყველა დაავადებულ პუნქტებში უმკაცრესი კარანტინის დაცვას და პასუხისგებაში მისცენ კარანტინის დადგენილი წესების დამრღვევნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეაბრეშუმეობის ხაზით.

42. დაწესდეს 1935 წლისათვის აბრეშუმის თესლის დარიგების გეგმა 83.000 კოლოფის რაოდენობით, თესლის ყოველ კოლოფიდან საშუალოდ 30 კგ პარკის გამოსავლიანობით.

43. განისაზღვროს 1935 წლისათვის კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეებისათვის მაღალტანიანი თუთის ხის ნარგავთა დარიგების გეგმა 370.000 ძირის რაოდენობით.

44. დამტკიცდეს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი რაიონობრივი გეგმა აბრეშუმის თესლის დარიგებისა, პარკის გამოსავლიანობისა და თუთის ხის დარგვის შესახებ.

45. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა დაამუშაონ და დაუგზავნონ რაიონებს ერთი დეკადის ვადაზე სპეციალური აგროტექნიკური ღონისძიებანი (მოვლა, კვება, ინკუბაცია და სხვ.), რაც უზრუნველჰყოფს პარკის გამოსავლიანობას არა ნაკლებ 30 კგ-ისა საშუალოდ რესპუბლიკაში.

46. აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, რაიაღმასკომებმა, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებმა და პარტიის რაიკომებმა უზრუნველყონ საგეგმო დავალებათა დაყვანა კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე და აგრეთვე ყველა კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებისათვის მტკიცე დავალებების მიცემა არა უგვიანეს ა/წ. თებერვლის 5-ისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია**

1935 წ. იანვრის 23.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1934 წ. № 11. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 7/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.

გადაეცა სტამბას 13/II; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/III; ტირაჟი 1.700.

მთავლ. რწმ. ს.—№ 8713. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 335